

საბანკო საქმის საფუძვლები I, II კურსი(ბიზნეს-ინჟინერინგი)

I, II სემესტრი, 2017-2018 წელი -გიორგი ცაავა

(I შუალედური ტესტირების ნიმუში)

კითხვა 1

რომელ ქალაქში და რომელ წელს შეიქმნა პირველი ბანკი მსოფლიოში?

აირჩიეთ ერთი:

- a. ქ. იერუსალიმში 1409 წელს;
- b. ქ. პალერმოში 1408 წელს;
- c. ქ. გენუაში 1407 წელს;
- d. არცერთი პასუხი სწორი არ არის.

კითხვა 2

რვალი, რომლისგანაც იბეჭდებოდა ფული არის :

აირჩიეთ ერთი:

- a. ოქროსა და ვერცხლის შენარევი ლითონი;
- b. სპილენძისა და ოქროს შენარევი ლითონი;
- c. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- d. სპილენძისა და თუთიის შენარევი ლითონი;

კითხვა 3

სებ-ის მონეტარული ინსტრუმენტის – ერთდღიანი სესხების კომერციულ ბანკებზე გაცემისას მის უზრუნველსაყოფად არ შეიძლება გამოყენებული იქნეს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ბანკების სასესხო აქტივები;
- b. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- c. ბანკების საზედამხედველო კაპიტალი.
- d. საერთაშორისო საბანკო გარანტიები;

კითხვა 4

რეპო არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. კომერციული ბანკებს შორის გარანტირებული სესხება/გასესხების საშუალება;
- b. არცერთი პასუხი სწორი არ არის.
- c. ფასიანი ქაღალდების გაყიდვა შემდგომში იმავე ან მსგავსი ფასიანი ქაღალდების წინასწარ შეთანხმებული პირობებით უკან ყიდვის (გამოსყიდვის) ვალდებულებით;
- d. კომერციული ბანკებისა და სხვა ორგანიზაციებისთვის სავალუტო რისკის ჰეჯირების საშუალება;

კითხვა 5

საბანკო ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილ შუამდგომლობას ჩამოთვლილთაგან რომელი დოკუმენტი არ უნდა ერთვოდეს?:

აირჩიეთ ერთი:

- a. დამფუძნებელთა კრების ოქმი;
- b. ბანკის ნოტარიულად დამოწმებული საკრედიტო ხელშეკრულება;
- c. ბანკის სტარტეგიული განვითარების გეგმა;
- d. ბანკის რეგისტრაციის შესახებ სასამართლო დადგენილების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

კითხვა 6

ფულადი მულტიპლიკატორი ტოლია:

აირჩიეთ ერთი:

- a. $1 - (d+e) / (d+e+c)$;
- b. $(1-d) / (d+c)$.
- c. $1 / (d+c)$;
- d. $(1+c) / (d+c)$;

კითხვა 7

კრედიტის ფორმა, რომელიც მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გაიცემა არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საბლანკო კრედიტი;
- b. კონტოკორენტული კრედიტი;
- c. ლომბარდული კრედიტი.
- d. ოვერდრაფტი;

კითხვა 8

პროცენტის ავანსად გადახდას ითვალისწინებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. წლიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი;
- b. დისკონტური განაკვეთის მეთოდი;
- c. რთული საპროცენტო განაკვეთის მეთოდი.
- d. მარტივი პროცენტების მეთოდი;

კითხვა 9

საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
- b. ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი;
- c. პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური და ეროვნული ვალუტით ბანკის აქტივები და ვალდებულებები ტოლია.
- d. პოზიცია, როდესაც სხვადასხვა სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;

კითხვა 10

სპოტი არის გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან:

აირჩიეთ ერთი:

- a. 3 საბანკო დღის განმავლობაში;
- b. 7 საბანკო დღის განმავლობაში.
- c. 1 საბანკო დღის განმავლობაში;
- d. 2 საბანკო დღის განმავლობაში;